პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია
სსიპ კოლეჯის **„ოპიზარი“** დირექტორის
27/05/2026 წლის #624562 ბრძანებით

სსიპ კოლეჯი "ოპიზარი”
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ხის მხატვრული დამუშავება

საკონტაქტო ინფორმაცია:
მისამართი: ახალციხე, შოთა რუსთაველის ქ. 111
ტელეფონი: T-591411272 ;
ელ-ფოსტა: opizari2011@gmail.com
ვებგვერდი: http://opizarivet.ge/
პროგრამის ხელმძღვანელი: გიორგი კოსტანიშვილი

2026

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე) -** ხის მხატვრული დამუშავება; Wood Artistic Processing
2. **სარეგისტრაციო ნომერი -** 02.9.1
3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) -** საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში; Secondary Vocational Qualification in Wood Artistic Processing
4. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის** - მიზანია მოამზადოს ხის მხატვრული დამუშავების კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, რომელმაც იცის ხის მხატვრული დამუშავებისთვის საჭირო დანადგარების, ხელსაწყოებისა და მასალის შერჩევა, ესკიზისა და ნახაზის შესრულება, კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების გამოყენებით ხის ავეჯის კონსტრუირება, ესკიზის მიხედვით ხის მხატვრული კვეთა, ხის ავეჯისა და დეკორატიული ნივთების დამზადება უსაფრთხოების წესების დაცვით და ხის დაზიანებული ავეჯის აღდგენა.
5. **კვალიფიკაციის დონე**

   5.1 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (NQF) - 4
6. **კლასიფიკაციის აღწერა**

   6.1 ISCED კოდი და აღწერა - 0214 გამოყენებითი ხელოვნება (ხელნაკეთობა) - *შეისწავლის საიუველირო ხელოვნების, კერამიკის, ქსოვის, ხის დამუშავების და ა.შ ტექნიკასა და უნარებს.*

   6.2 ISCO კოდი - 7317 ხეზე, მოწნულ ნაწარმსა და სხვა მსგავს მასალებზე ხელით მომუშავე ოსტატები; 7522 საოფისე ავეჯის დამამზადებლები და მონათესავე პროფესიების მუშები.

   6.3 ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი - 16.29.0 ხის სხვა პროდუქტების წარმოება; ნაკეთობების წარმოება კორპის, ჩალის და წნული მასალებისაგან; 31.01.0 ავეჯის წარმოება დაწესებულებების და მაღაზიებისათვის; 31.02.0 სამზარეულო ავეჯის წარმოება; 31.09.0 სხვა ავეჯის წარმოება.
7. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასაქმების შესაძლებლობები -** ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს: ავეჯის დამამზადებელ საწარმოში, ხის მხატვრულ/დეკორატიული ნაკეთობების დამამზადებელ სალონებში, ხის საყოფაცხოვრებო ნივთებისა და სხვადასხვა ინტერიერის აქსესუარების დამამზადებელ სახელოსნოში, ხის წნული ნივთების დამამზადებელ სახელოსნოში, ასევე შეუძლია იყოს თვითდასაქმებული/ინდივიდუალური მეწარმე.
8. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

   8.1 სრული ზოგადი განათლება

9. სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

9.1 შექმნას სპეციალური კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების გამოყენებით ხის ნაკეთობათა ესკიზი/ნახაზი;
9.2 დაამუშაოს მერქანი და მერქნული მასალა;
9.3 ააწყოს და მოაპირკეთოს ხის ნაკეთობები;
9.4 განახორციელოს მარტივი და რთული მხატვრული კვეთა ხეში;
9.5 განახორციელოს კომპიუტერული დანადგარების გამოყენებით ხის მხატვრული დამუშავება;
9.6 დაამზადოს ხის მხატვრული ნიმუში მოზაიკური ტექნოლოგიით;
9.7 შექმნას ხის წნული ნაკეთობები;
9.8 განახორციელოს ხის ნაკეთობების შეკეთება.

10. სწავლის შედეგების დეტალური აღწერა

მოდული	პროფესიული უნარები	პროფესიული ცოდნა	*საკვანძო კომპეტენციები*							
			მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია	*უცხო ენაზე კომუნიკაცია*	*მათემატიკური უნარ-ჩვევები და საბაზისო კომპეტენციები მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში*	*ციფრული კომპეტენცია*	*დამოუკიდებლად სწავლის უნარი*	*პიროვნებათაშორისი და მოქალაქეობრივი კომპეტენციები*	*მეწარმეობა*	*კულტურული გამჭვირვალობა*
1. გაცნობითი პრაქტიკა - ხის მხატვრული დამუშავება	• პროფესიული სტანდარტის შესაბამისად აღწერს მომავალი პროფესიის არსს; • კონკრეტულ სამუშაოებთან მიმართებით ახორციელებს არსებული შრომის ბაზრის მოთხოვნების იდენტიფიცირებას; • პროფესიული სტანდარტის შესაბამისად აღწერს მომავალი პროფესიისათვის განსაზღვრულ ამოცანებსა და მოვალეობებს;	• იცის პროფესიის არსი და პროფესიული ვალდებულებები; • იცის დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი; • იცის დასაქმების შესაძლებლობები; • იცის პროფესიული სტანდარტის მოვალეობები და ამოცანები; • იცის ორგანიზაციის სტრუქტურა; • იცის უსაფრთხოების საერთო ნორმები;	✓					✓		

	• დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, აღწერს კონკრეტული ორგანიზაციის სტრუქტურას; • განმარტავს უსაფრთხოების როგორც საერთო ნორმებსა და წესებს, ასევე წარმოებაში არსებულ უსაფრთხოების წესებს; • აყალიბებს გამართული ხელსაწყო-იარაღებისა და დაზგა-დანადგარების უსაფრთხოდ მოხმარების წესებს; • აღწერს სპეცტანსაცმლის გამოყენების წესებს; • განმარტავს მხედველობის, სუნთქვის და სმენის დამცავი საშუალებების გამოყენების წესებს; • ადამიანის სხეულის დაზიანებების სპეციფიკიდან გამომდინარე, განმარტავს პირველადი დახმარების გაწევის წესებს; • აღწერს ხის ჯიშებს; • აღწერს მერქნის დაზიანებასა და ვარგისიანობას; • განსაზღვრავს მერქნის ტენიანობას; • აღწერს მერქნის შრობის მეთოდებს; • აღწერს მერქნის ტექნოლოგიურ პროცესებს; • აღწერს საჭირო ჩარხ-დანადგარებსა და ხელსაწყოებს; • აღწერს ქართული ხის მხატვრულ ნაკეთობებს.	• იცის წარმოებაში არსებული უსაფრთხოების წესებს • იცის ხელსაწყო-იარაღებისა და დაზგა-დანადგარების უსაფრთხოდ მოხმარების წესები; • იცის სპეცტანსაცმლის გამოყენების წესები; • იცის მხედველობის, სუნთქვის და სმენის დამცავი საშუალებების გამოყენების წესები; • იცის პირველადი დახმარების გაწევის წესებს; • იცის ხის ჯიშების სახეები; • იცის მერქნის დაზიანებისა და ვარგისიანობის ტიპები; • იცის მერქნის ვარგისიანობის განსაზღვრის ძირითადი მეთოდები; • იცის მერქნის ტენიანობის განსაზღვრის მეთოდი; • იცის მერქნის შრობის მეთოდები; • იცის მერქნის ტექნოლოგიური დამუშავების პროცესების მეთოდები; • იცის ხის დასამუშავებლად საჭირო ჩარხ-დანადგარებისა და ხელსაწყოების სახეები; • იცის ქართული ძველი და თანამედროვე ხის ნაკეთობების ნიმუშები.								

2. ხაზვა - ხის მხატვრული დამუშავებისათვის	• აგებს ნახაზის გრაფიკულ გამოსახულებას; • აგებს გეომეტრიული ფიგურებს დაგეგმილების მეთოდით; • ასრულებს მოდელის გეომეტრიული შეუღლების ნახაზს; • ასრულებს მხატვრული ნაკეთობის-მოდელის ნახაზს; • ასრულებს მოდელის კონსტრუქციულ კვანძებს; • ასრულებს მოდელის ასაწყობ - სამონტაჟო ნახაზს.	• იცის საჭირო სახაზავი ხელსაწყოების, მასალებისა და მოწყობილობების სახეები; • იცის სახაზავი ხელსაწყოების გამოყენების წესი; • იცის ხაზვისათვის სამუშაო ადგილის მოწყობის წესი; • იცის სიბრტყეზე გეომეტრიული აგებების წესი; • იცის ნახაზების შესრულებისა და გაფორმების წესები (სტანდარტული პირობითობანი); • იცის გამოსახულებათა აგების ძირითადი მეთოდი. ნახაზზე ხედების განლაგება; • იცის აქსონომეტრიული გეგმილების სახეები თვალსაჩინო გამოსახულებისათვის; • იცის გეომეტრიული საგნების გამოსახვა ღერძების განლაგება; • იცის მარტივი ჭრილები: საშუალო სირთულის სასწავლო მოდელის ორი მოცემული ხედის მიხედვით, მესამე ხედისა და აქსონომეტრიული გეგმილის აგება, საჭირო ჭრილების გამოყენებით ზომების დასმა; • იცის სასწავლო მოდელის - ფორმების განივი კვეთები ერთი ან რამდენიმე სიბრტყით; • იცის გეომეტრიული ფიგურის აგების წესი საჭირო ჭრილების გამოყენებით იზომეტრიაში; • იცის შეუღლების თეორიის ელემენტარული საფუძვლები; • იცის შეუღლების ცენტრის პოვნის წესი ნახაზზე; • იცის შეუღლების წერტილების პოვნის წესი ნახაზზე;	✓		✓					

		• იცის ორი წრეწირის შეუღლება - ოვალის აგების წესი; • იცის კუთხეების შეერთების წესი წრეწირის რკალით; • იცის წრფეთა შეუღლების წესი წრეწირის რკალით; • იცის მოდელის კონსტრუქციული კვანძების გამოსახვის მეთოდი სხვადასხვა სიბრტყით პროექციის დროს; • იცის ნაკეთობის სამონტაჟო შემადგენელი ნაწილების გამოსახვის მეთოდი თვალსაჩინო გამოსახულებისათვის; • იცის დაუშლელი: შედუღება, მიკავშირება დამოქლონების წესი; • იცის მოდელის კონსტრუქციული კვანძების და სამონტაჟო შემადგენელი ნაწილების გამოხაზვის მეთოდი (საერთო ნახაზი).								
3. აკადემიური ხატვის საწყისები და ესკიზის შექმნა - ხის მხატვრული დამუშავებისათვის	• ამზადებს ხატვისათვის საჭირო ხელსაწყოებსა და მასალას; • ასრულებს შტრიხების ნაირსახეობებს; • ხატავს გეომეტრიული ფიგურებისაგან შექმნილ კომპოზიციას, კომპოზიციის ძირითადი კანონზომიერების გათვალისწინებით; • ხატავს თავისუფალ კომპოზიციას კომპოზიციის ძირითადი კანონზომიერების გათვალისწინებით. • ხატავს მარტივ ნატურმორტს ფანქარში; • ხატავს მარტივ ნატურმორტს ფერში; • ასრულებს ხის ნაკეთობის ესკიზს.	• იცის ხატვისათვის საჭირო ხელსაწყოებისა და მასალის სახეები; • იცის შტრიხების ნაირსახეობების შესრულების მეთოდები; • იცის კომპოზიციის ძირითადი კანონზომიერებები; • იცის თავისუფალი კომპოზიციის შესრულების მეთოდები; • იცის ფანქრის საშუალებით სივრცეში მოდელის გაზომვის მეთოდი; • იცის დასახატავი მოდელის აგების მეთოდი; • იცის შუქ-ჩრდილების მეშვეობით მოცულობის მიცემის მეთოდები; • იცის მარტივი ნატურმორტის ფანქარში ხატვის ტექნიკური ხერხები;	✓							

		• იცის მარტივი ნატურმორტის ფერში ხატვის ტექნიკური ხერხები; • იცის ხის ნაკეთობის/ნაწარმის ხატვის ტექნიკური ხერხები.								
4. ძერწვის საწყისები	• ამზადებს ძერწვისათვის საჭირო ხელსაწყოებსა და მასალას; • ძერწავს მარტივ გეომეტრიულ ფორმებს; • ძერწავს ბარელიეფს; • ძერწავს მოცულობით ფორმებს.	• იცის ერგონომიული ნორმები; • იცის ძერწვისათვის საჭირო ხელსაწყოებისა და მასალის სახეები; • იცის გეომეტრიული ფიგურების სახეები; • იცის პლასტილინით ძერწვის მეთოდი; • იცის მოცემული ნაძერწი გეომეტრიული ფორმებიდან სივრცობრივი კომპოზიციის შექმნის მეთოდი; • იცის ესკიზის მიხედვით ბარელიეფის გამოსაძერწი სიბრტყის მომზადების მეთოდი; • იცის სიბრტყეზე ძერწვისათვის საჭირო ესკიზის გადატანის მეთოდი; • იცის ესკიზის შესაბამისად ბარელიეფის პლასტილინით ძერწვის მეთოდი; • იცის ნაძერწი მოდელის შესაქმნელად საჭირო კარკასის ტიპები; • იცის საყრდენზე კარკასის დამაგრების მეთოდი; • იცის კარკასისთვის ლითონის კონსტრუქციის დამზადების მეთოდი; • იცის კარკასზე საჭირო ფორმის ძერწვის მეთოდი.	✓							

5.	კომპიუტერული გრაფიკული პროგრამები ხის მხატვრული დამუშავებისა და ავეჯის კონსტრუირებისათვის	• ქმნის სპეციალურ კომპიუტერულ გრაფიკულ პროგრამაში ხის ნაკეთობების პროექტირებას; • ირჩევს სპეციალურ კომპიუტერულ გრაფიკულ პროგრამაში ხელსაწყოებს; • ასრულებს ნაკეთობის ხედების ნახაზს; • ასრულებს ნაკეთობის დეტალებისა და კვანძების ნახაზს; • ასრულებს ნაკეთობის ნახაზის კომპლექტს სპეციალიზებულ კომპიუტერულ გრაფიკულ პროგრამაში; • ასრულებს ავეჯის კონსტრუირებისთვის საჭირო ნახაზების სრულ კომპლექტს; • ასრულებს ესკიზის მიხედვით მაკეტს.	• იცის სპეციალური კომპიუტერული გრაფიკული პროგრამა და ხელსაწყოების, მთავარი მენიუ; • იცის პროექციის ეკრანი და მისი ფუნქციები; • იცის ობიექტების პანელის გაცნობა და მათი სახეობები; • იცის მოდიფიკატორების პანელის შესწავლა; • იცის ობიექტების დეფორმაცია მოდიფიკატორების საშუალებით; • იცის მოდელირების წესი; • ოცის ობიექტის შექმნის წესი და ძირითადი ეტაპები; • იცის მარტივი ობიექტების შექმნა სპეციალური კომპიუტერული გრაფიკული პროგრამით; • იცის მთავარი პანელი და მისი ფუნქციების შესწავლა კვანძების გამოხაზვისთვის; • იცის ხელსაწყოების პანელი და მისი ფუნქციების შესწავლა მუშა ნახაზის შედგენისთვის; • იცის ავეჯის კონსტრუქციული გადაწყვეტის მეთოდები; • იცის საპროექტო-საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის სახეები; • იცის ნახაზების შედგენის წესი; • იცის მასალათა პირობითი აღნიშვნები; • იცის ავეჯის საერთო ხედების გამოხაზვის წესი არსებული დიზაინის მიხედვით; • იცის ტექნიკური ნახაზის შედგენის წესი არსებული სტანდარტების მიხედვით;	✓			✓				

		• იცის ავეჯის დეტალებისა და კვანძების ნახაზების შედგენის წესი; • იცის ნახაზის სპეციფიკაციისა და კალკულაციის შედგენის წესი; • იცის პროექტის კორექტირების წესი; • იცის მაკეტის შესასრულებლად საჭირო ხელსაწყოებისა და მასალის სახეები; • იცის ავეჯის მაკეტის აწყობის პროცესის თანმიმდევრობის წესი.								
6. თანამედროვე და ტრადიციული ავეჯის დამზადება	• აღწერს ხის ჯიშებს; • ქმნის ესკიზსა და ნახაზს; • ირჩევს საჭირო ჩარხ-დანადგარებს, ხელსაწყოებსა და მასალას; • ასრულებს აქსონომეტრიულ ნახაზს ზომების აღნიშვნით; • ასრულებს საჭირო ჭრილებსა და კვანძებს; • გამოხაზავს ნაკეთობის დეტალების თარგებს; • ასრულებს მერქნის პირველადი მექანიკური დამუშავების ოპერაციებს უსაფრთხოების წესების დაცვით; • ასრულებს მერქნის მეორადი მექანიკური დამუშავების ოპერაციებს უსაფრთხოების წესების დაცვით; • ირჩევს კონკრეტული ნაკეთობის აწყობისათვის საჭირო ხელსაწყოებს; • ირჩევს კონკრეტული ნაკეთობის აწყობისათვის საჭირო ფურნიტურას; • აწყობს ნაკეთობას უსაფრთხოების წესების დაცვით;	• იცის ხის ჯიშების სახეები; • იცის მერქნის დაზიანებისა და ვარგისიანობის ტიპები; • იცის მერქნის ტენიანობის განსაზღვრის მეთოდი; • იცის მერქნის შრობის მეთოდები; • იცის მერქნის ტექნოლოგიური დამუშავების პროცესების მეთოდები; • იცის დასამუშავებლად საჭირო ჩარხ-დანადგარებისა და ხელსაწყოების სახეები; • იცის ესკიზის შესრულების მეთოდები; • იცის ხის ნაკეთობების ხედების ხაზვის მეთოდები; • იცის ხის ნაკეთობების აქსონომეტრიული ნახაზის შესრულების მეთოდები; • იცის ნახაზზე საჭირო ჭრილებისა და კვანძების ნატურალურ ზომაში შესრულების მეთოდები; • იცის მერქნის პირველადი მექანიკური დამუშავების ოპერაციების შესრულების მეთოდები; იცის მერქნის მეორადი მექანიკური	✓		✓					

	• ასრულებს ნაკეთობის მოპირკეთებას უსაფრთხოების წესების დაცვით.	დამუშავების ოპერაციების შესრულების მეთოდები; • იცის საჭირო ჩარხ-დანადგარებთან მუშაობის წესები; • იცის ქართული ტრადიციული ხის ნაკეთობის ესკიზის შექმნა; • იცის ხის ქართული ტრადიციული ნაკეთობების დამზადება; • იცის უსაფრთხოების წესები.								
7. ხეზე მხატვრული კვეთა	• ასრულებს ესკიზს; • ადგენს ორნამენტის ზუსტ ნახაზს ესკიზის მიხედვით; • აწყობს სამუშაო ადგილს ერგონომიკის ნორმების დაცვით; • გადააქვს ხის მერქანზე ესკიზი/ორნამენტი; • ირჩევს კონტურული და გეომეტრიული კვეთისთვის საჭირო დანადგარებს, იარაღებსა და დამხმარე ხელსაწყოებს; • ახორციელებს საჭრელი ხელსაწყოების გალესვას ხელით ან/და ელექტრო დანადგარით, უსაფრთხოების წესების დაცვით; • ასრულებს ხეზე კონტურულ და გეომეტრიულ კვეთას უსაფრთხოების წესების დაცვით; • ასრულებს ხეზე რელიეფურ, გამჭოლ და აჟურულ კვეთას უსაფრთხოების წესების დაცვით; • ასრულებს ხეზე რელიეფურ კვეთას (ბარელიეფი, ჰორელიეფი); • ასწორებს ხარვეზებს ესკიზის ან ნიმუშის მიხედვით.	• იცის ნაკეთობის ესკიზის შესრულების წესები; • იცის ორნამენტის სახეები; • იცის ორნამენტის ზუსტი ნახაზის შედგენის მეთოდები; • იცის ხის მერქანზე ესკიზი/ორნამენტის გადატანის მეთოდები; • იცის ერგონომიული ნორმები; • იცის კონტურული და გეომეტრიული კვეთისთვის საჭირო დანადგარების სახეები; • იცის კონტურული და გეომეტრიული კვეთისთვის საჭირო იარაღების სახეები; • იცის კონტურული და გეომეტრიული კვეთისთვის საჭირო დამხმარე ხელსაწყოების სახეები; • იცის საჭრელი ხელსაწყოების ხელით ან/და ელექტრო დანადგარით გალესვის მეთოდი; • იცის ხეზე კონტურული, გეომეტრიული, რელიეფური, გამჭოლი, აჟურული, კვეთის მეთოდები; • იცის ესკიზის ან ნიმუშის მიხედვით ხეზე გამოკვეთილი ორნამენტის ხარვეზების გასწორების მეთოდი;	✓							

		• იცის უსაფრთხოების წესები.								
8. მოზაიკური ტექნოლოგიით ნაკეთობის დამზადება	• ერგონომიის ნორმების დაცვით აწყობს სამუშაო ადგილს; • ქმნის ესკიზს მოზაიკური ტექნოლოგიით დამზადებული ნაკეთობისთვის; • ესკიზში მოცემული ფერისა და ტექსტურის მიხედვით ირჩევს შპონს; • ესკიზის მიხედვით აწყობს მოზაიკას; • ესკიზის ზომების მიხედვით გამოჭრის დასაკრავ ფუძეს; • შესაბამისი წესების დაცვით პრესავს მიღებულ ნამზადს გამოჭრილ ფუძეზე; • ასუფთავებს მარკეტრის ზედაპირს; • ახორციელებს ზედაპირის მოპირკეთებას.	• იცის ერგონომიული ნორმები; • იცის ესკიზის შექმნის ტექნიკური ხერხები; • იცის მოზაიკის აწყობისათვის საჭირო იარაღებისა და დამხმარე ხელსაწყოების ტიპები; • იცის მოზაიკური ტექნოლოგიის აწყობისთვის საჭირო იარაღებისა და დამხმარე ხელსაწყოების შერჩევის წესები; • იცის იარაღებისა და ხელსაწყოების გამართულობის შემოწმების წესები; • იცის ხელსაწყოებისა და იარაღების ლესვის წესები; • იცის ხელსაწყოებისა და იარაღების შენახვის წესები; • იცის ესკიზის მიხედვით შპონის ფერის შერჩევის წესი; • იცის ესკიზის მიხედვით შპონის ტექსტურის შერჩევის წესი; • იცის ინტარსიისთვის ხის ჯიშების შერჩევის ძირითადი პრინციპები; • იცის ინკრუსტაციისთვის ეგზოტიკური მასალების ტიპების შერჩევის ძირითადი პრინციპები; • იცის ინკრუსტაციისთვის ეგზოტიკური მასალების ფერის მიხედვით შერჩევის ძირითადი პრინციპები; • იცის დაწნეხვის წესები; • ცის მიღებული ნამზადის ფანერაზე დაწებების ტექნოლოგიის პრინციპები; • იცის ცივი და ცხელი წნეხის გამოყენების წესები; • იცის ნაკეთობის ზედაპირის მოპირკეთების წესები.	✓							

9.	ხის მხატვრული დამუშავება რიცხვით პროგრამული მართვის ჩარხების გამოყენებით	• ქმნის ესკიზს ფანქრით; • ფანქარში შესრულებული ესკიზის მიხედვით (Corel DRAW-ში) ამუშავებს ესკიზს; • ირჩევს ხელსაწყოებსა და მასალას; • (Corel DRAW-ში) შესრულებულ ესკიზს ამუშავებს პროგრამა artcam-ში; • artcam-ში დამუშავებულ მზა ფაილს აწვდის პროგრამულ ჩარხს (CNC Router); • პროგრამულ ჩარხზე (CNC Router) ამაგრებს სპეციალურ ბურღს; • ტექნოლოგიური პროცესის გათვალისწინებით პროგრამულ ტექნოლოგიური პროცესის გათვალისწინებით ათავსებს ხის მასალას; • პროგრამული ჩარხით ახორციელებს ხის მხატვრულ დამუშავებას; • ფანქარში შესრულებული ესკიზის მიხედვით (Fusion 360 -ში) ხაზავს ესკიზს; • შესასრულებელი სამუშაოს მიხედვით ირჩევს მასალას; • ესკიზის მიხედვით შერჩეულ მასალას ათავსებს ლაზერული გრავირების დანადგარში; • ტექნოლოგიური პროცესის გათვალისწინებით ლაზერული გრავირების დანადგარით ახორციელებს ხის მხატვრულ დამუშავება/გრავირებას.	• იცის ფანქარში ხატვის ტექნიკური ხერხები; • იცის CNC დანადგარის მეშვეობით ხის ნაკეთობების შექმნის ძირითადი ეტაპები; • იცის პროგრამა (Corel DRAW) ძირითადი პრინციპები; • იცის CNC დანადგარის სამართავი პროგრამების - (Artcam -ის) ძირითადი პრინციპები; • იცის CNC დანადგარის მუშაობის და აგებულების საბაზისო პრინციპი; • იცის CNC დანადგართან მუშაობის უსაფრთხოების წესები; • იცის (CNC routeri-ით) დასამუშავებელი მასალების კლასიფიკაცია; • იცის (CNC router-ით) დასამუშავებელი მასალების დამუშავების თავისებურებები; • იცის ფრეზების სახეობები, დანიშნულება და გამოყენების წესები; • იცის დაზგის მუშაობის პროცესის კონტროლის წესი. • იცის (Fusion 360 -ში) ნახაზის შექმნის პრინციპები; • იცის ხის მასალის სახეები; • იცის ლაზერულ დანადგართან მუშაობის უსაფრთხოების წესები; • იცის ლაზერული გრავირების დანადგარით ხის მხატვრულ დამუშავება/გრავირების წესი.	✓			✓				
10.	დაწნული ნაკეთობების დამზადება	• ამზადებს წნული ნაკეთობების დასამზადებლად საჭირო სამუშაო ადგილს; • ირჩევს საჭირო ხელსაწყოებს;	• იცის წნული ნაკეთობების დასამზადებლად საჭირო სამუშაო ადგილის მომზადების წესი;	✓							

	• ირჩევს და ახარისხებს მასალას სისქისა და სიგრძის მიხედვით; • ირჩევს შესაბამისი ზომის ჩხირებს (დედნებს); • ალბობს სამუშაო მასალას; • ქმნის ესკიზს; • აწყობს სხვადასხვა ფორმის ნაკეთობის ძირს; • ასრულებს ძირზე შემოწნას ესკიზის მიხედვით; • წნულ ნაკეთობას აძლევს დასრულებულ სახეს.	• იცის წნული ნაკეთობის დასამზადებლად საჭირო ხელსაწყოების სახეები; • იცის წნული ნაკეთობის დასამზადებლად საჭირო მასალის სახეები; • იცის ხის ჩხირების (დედნების) სახეები; • იცის სამუშაო ხის მასალის დალბობისა და შერჩევის მეთოდები; • იცის სხვადასხვა ფორმის წნული ნაკეთობების ძირის მომზადების მეთოდები; • იცის ძირზე შემოწვნის მეთოდები; • იცის წნული ნაკეთობის დასრულებული სახის მიცემის მეთოდები.								
11. ხის ნაკეთობების რეკონსტრუქცია/განახლება	• აღწერს სარეკონსტრუქციო ნაკეთობის დაზიანებას; • გეგმავს ჩასატარებელი სამუშაოების თანმიმდევრობას; • ირჩევს სარესტავრაციო ნაკეთობის მასალებს; • ასრულებს დაზიანებული დეტალების თარგებს; • ახდენს დაშლილი დეტალების დასუფთავებას; • ასრულებს დეტალებისაგან კვანძების აწყობას; • ახორციელებს დაშლილი ან აწყობილი ნაკეთობის მოპირკეთებას.	• იცის ხის სარესტავრაციო ნაკეთობის მასალის სახეები; • იცის ხის დაზიანებული დეტალების მდგომარეობის დადგენის წესი; • იცის ხის ნაკეთობის შემადგენელი მასალების სახეობების დადგენის წესი; • იცის შემუშავებული გეგმის მიხედვით ნაკეთობის დაშლის მეთოდები; • იცის ხის დაზიანებული დეტალების თარგების შესრულების მეთოდი; • იცის დაშლილი ხის დეტალების დასუფთავების წესი; • იცის ხის დეტალებისაგან კვანძების აწყობის მეთოდები; • იცის დეტალებისა და კვანძებისაგან ნაკეთობის აწყობის მეთოდები;	✓							

		• იცის დაშლილი ან აწყობილი ხის ნაკეთობის მოპირკეთების მეთოდები.								

11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ითვალისწინებს 3 ზოგად მოდულს 9 კრედიტის მოცულობით და 12 პროფესიულ მოდულს ჯამური 77 კრედიტის მოცულობით. **„ხის მხატვრული დამუშავებაში“** საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 86 კრედიტის დაგროვება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ხის მხატვრული დამუშავებაში“** ხორციელდება იმიტირებული მიდგომით სსიპ კოლეჯში **„ოპიზარი“** ქ. ახალციხე შოთა რუსთაველის ქ. 111

მოდულის „ქართული ენა“ A2 და „ქართული ენა“ B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს “საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ 24 მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით, მათ შორის, 15 კრედიტი განკუთვნილია „ქართული ენა A2” სწავლებისათვის. არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის სულ 81 კრედიტი. კოლეჯი უფლებამოსილია ზემოაღნიშნული წესით ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტს პროგრამაზე სწავლა დააწყებინოს ქართული ენის მოდულის გავლის გარეშე, იმ შემთხვევაში თუ პროგრამით გათვალისწინებული მოდულით/მოდულებით დადგენილი ენობრივი კომპეტენცია დადასტურდება მის მიერ, კოლეჯის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით განსაზღვრული შეფასების მექანიზმებით.

- **მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის: 86** კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა**: 17 თვე
- **მოცულობა არაქართულენოვან სტუდენტებისათვის:** 116 კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 23 თვე

სასწავლო გარემოში სწავლისთვის	კრედიტი	სამუშაო გარემოში სწავლისთვის	დისტანციური სწავლების შესაძლებლობები
ზოგადი მოდულები			
ინფორმაციული წიგნიერება	2	-	

უცხოური ენა	3	-	
მეწარმეობა	4	✓	
პროფესიული მოდულები			
გაცნობითი პრაქტიკა - ხის მხატვრული დამუშავება	3	✓	
ხაზვა - ხის მხატვრული დამუშავებისათვის	5	✓	
აკადემიური ხატვის საწყისები და ესკიზის შექმნა - ხის მხატვრული დამუშავებისათვის	6	✓	
ძერწვის საწყისები	3	✓	
კომპიუტერული გრაფიკული პროგრამები ხის მხატვრული დამუშავებისა და ავეჯის კონსტრუირებისათვის	6	✓	
ხეზე მხატვრული კვეთა	15	✓	
თანამედროვე და ტრადიციული ავეჯის დამზადება	15	✓	
მოზაიკური ტექნოლოგიით ნაკეთობის დამზადება	5	✓	
ხის მხატვრული დამუშავება რიცხვით პროგრამული მართვის ჩარხების გამოყენებით	5	✓	
დაწნული ნაკეთობების დამზადება	3	✓	
ხის ნაკეთობების რეკონსტრუქცია/განახლება	4	✓	
პრაქტიკული პროექტი - ხის მხატვრულ დამუშავებაში	7	✓	
სულ კრედიტები	**86**		

12. დამატებითი ინფორმაცია

12.1 სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

საგანმანათლებლო სტანდარტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას *(მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

12.2 კვალიფიკაციის მინიჭება

საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა, უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში **„ხის მხატვრული დამუშავების“** განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

12.3 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-12 პუნქტის 12.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით.

დანართი № 2.1-სასწავლო გეგმა

მოდულები:

დანართი 1.1 ინფორმაციული წიგნიერება
დანართი 1.2 უცხოური ენა
დანართი 1.3 მეწარმეობა
დანართი 1.4 გაცნობითი პრაქტიკა - ხის მხატვრული დამუშავება
დანართი 1.5 ხაზვა - ხის მხატვრული დამუშავებისათვის
დანართი 1.6 აკადემიური ხატვის საწყისები და ესკიზის შექმნა - ხის მხატვრული დამუშავებისათვის
დანართი 1.7 ძერწვის საწყისები
დანართი 1.8 კომპიუტერული გრაფიკული პროგრამები ხის მხატვრული დამუშავებისა და ავეჯის კონსტრუირებისათვის
დანართი 1.9 ხეზე მხატვრული კვეთა
დანართი 1.10 თანამედროვე და ტრადიციული ავეჯის დამზადება
დანართი 1.11 მოზაიკური ტექნოლოგიით ნაკეთობის დამზადება
დანართი 1.12 ხის მხატვრული დამუშავება რიცხვით პროგრამული მართვის ჩარხების გამოყენებით
დანართი 1.13 დაწნული ნაკეთობების დამზადება
დანართი 1.14 ხის ნაკეთობების რეკონსტრუქცია/განახლება
დანართი 1.15 პრაქტიკული პროექტი - ხის მხატვრულ დამუშავებაში
დანართი 1.16 ქართული ენა A2
დანართი 1.17 ქართული ენა B1

პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისათვის პარტნიორ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებები:

ი/მ „გენადი გვირჯიშვილი“ **ხელშეკრულება #3 06.02.2026**
ი/მ „მალხაზი მაისურაძე“ **ხელშეკრულება #13 17.03.2026**
ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება-ახალციხის სამხატვრო სკოლა“ **ხელშეკრულება #4 12.02.2026**
ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქია **ხელშეკრულება #2 06.02.2026**
შპს „ნადათი“ **ხელშეკრულება #1 06.02.2026**